



საჯარო ინფორმაციასა და ღია მონაცემებზე  
ხელმისაწვდომობის ძირითადი გამოწვევები  
საქართველოში და მათზე რეაგირების საშუალებები

პოლიტიკის დოკუმენტი

ავტორები: ნინო გუგუნავა  
დიმიტრი გუგუნავა  
ლილი ლეჟავა  
სალომე იმნაიშვილი

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი (CSD). მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და CSD-ის შეხედულებებს.

**რეზიუმე**.....3

**პრობლემის აღწერა**.....3

    პრობლემური სიტუაციის მიმოხილვა.....3

    პრობლემის გადაწყვეტის წინა მცდელობების აღწერა და შეფასება.....7

    საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების მცდელობები.....7

    საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სამართლებრივი საფუძვლის შექმნა.....8

    პირველი ნაბიჯები ღია სამთავრობო მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.....9

    პრობლემის მნიშვნელობა.....9

**პრობლემის ფორმულირება/პრობლემის სტრუქტურირება**.....11

I. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.....11

    პრობლემა №1. საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა.....11

    პრობლემა №2. კანონმდებლობის პრაქტიკაში აღსრულების არაეფექტიანი სისტემა.....12

    პრობლემა №3. საჯარო ინფორმაციის მენეჯმენტის არაეფექტიანი მექანიზმები.....12

II. სამთავრობო მონაცემების ღია მონაცემების ფორმატში ხელმისაწვდომობა.....13

    პრობლემა №1. საკანონმდებლო ჩარჩოს და ერთიანი სტანდარტების არარსებობა..... 13

    პრობლემა №2. მმართველობითი სისტემის არარსებობა.....13

    პრობლემა №3. მონაცემების გამოყენების ნაკლებობა.....13

**ძირითადი აქტორების/დაინტერესებული მონაწილე პირების აღწერა**.....14

**რეკომენდაციები: მიზნები და ამოცანები**.....16

    მიზანი 1: საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.....17

        ამოცანა 1.1: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება.....17

        ამოცანა 1.2: საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობის პრაქტიკაში აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა.....17

        ამოცანა 1.3: თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის, გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის გამარტივება.....17

    მიზანი 2: ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.....18

        ამოცანა 2.1: ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნითა და ერთიანი სტანდარტების დანერგვით.....18

        ამოცანა 2.2: ღია მონაცემების ეფექტური მართვის უზრუნველყოფისთვის ცენტრალური მმართველობითი სისტემის შექმნა.....19

        ამოცანა 2.3: ღია მონაცემების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მათი გამოყენების ხელშეწყობა.....19

**რისკები და მათი მართვის მექანიზმები**.....20

**პოლიტიკის დოკუმენტის ადვოკატირება**.....22

    ადვოკატირების სტრატეგიებად გამოყენებული იქნება:.....23

**ბიბლიოგრაფია**.....24

## რეზიუმე

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი ასახავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, მათ შორის, ღია სამთავრობო მონაცემთა გამოქვეყნებისა და გამოყენების ნაწილში, აიდენტიფიცირებს გამოწვევებსა და შესაბამის რეკომენდაციებს მათ გადასაჭრელად.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინფორმაციის გაცნობის უფლება საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული, როგორც პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს როგორც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე გაცემა, უარის შემთხვევაში გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმების არსებობა, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ინფორმაციაზე წვდომა, ასევე ღია სამთავრობო მონაცემებზე წვდომა.

სიტუაციის ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად, დოკუმენტი სტრატეგიულ დონეზე გვთავაზობს შესაბამის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად განაცხადს და განსაზღვრავენ რეფორმების მიმართულებას იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად.

## პრობლემის აღწერა

### პრობლემური სიტუაციის მიმოხილვა

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი ასახავს საქართველოში არსებულ მდგომარეობას საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, მათ შორის, ღია სამთავრობო მონაცემთა გამოქვეყნებისა და გამოყენების ნაწილში, აიდენტიფიცირებს გამოწვევებსა და შესაბამის რეკომენდაციებს მათ გადასაჭრელად.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინფორმაციის გაცნობის უფლება საქართველოს კონსტიტუციითაა გარანტირებული, როგორც პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს როგორც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე გაცემა, უარის შემთხვევაში გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმების არსებობა, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ ინფორმაციაზე წვდომა, ასევე ღია სამთავრობო მონაცემებზე წვდომა.

სიტუაციის ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად, დოკუმენტი სტრატეგიულ დონეზე გვთავაზობს შესაბამის მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად განაცხადს და განსაზღვრავენ რეფორმების მიმართულებას იდენტიფიცირებული პრობლემების გადასაჭრელად.

საქართველოში საჯარო ინფორმაციაზე დროული და სრულყოფილი ხელმისაწვდომობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რასაც წლებია აღნიშნავენ როგორც ადგილობრივი არასამთავრობო, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები.

ბოლო რამდენიმე წელია ამ პრობლემაზე სახალხო დამცველი თავის ყოველწლიურ ანგარიშებშიც მიუთითებს. მაგალითად, სახალხო დამცველის 2023 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „**2023 წელს საქართველოს სახალხო დამცველისთვის ცნობილი გახდა ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადაში გაცემაზე უარის თქმის 100-ზე მეტი შემთხვევის თაობაზე.** აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ფარგლებში, უმეტესად მოგვმართავდნენ უფლებადამცველი ორგანიზაციები და ჟურნალისტები. საჩივრების უმრავლესობა შეეხება საჯარო ინფორმაციის

გაცემასთან დაკავშირებით წარდგენილ განცხადებებზე საჯარო დაწესებულებების მხრიდან თვეების განმავლობაში გამოვლენილ უმოქმედობას. [...] საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით საჯარო დაწესებულებებში წარდგენილ განცხადებების ნაწილზე პასუხი მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს, რაც განსახილველ საკითხზე სახალხო დამცველის აპარატმა ადრესატ უწყებებს შესაბამისი კორესპონდენციით მიმართა და მოითხოვა განმარტება საჯარო დაწესებულებების ქმედების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ. ეს ფაქტი ადასტურებს, რომ **საჯარო დაწესებულებების მხრიდან, არაერთ შემთხვევაში, დაუსაბუთებლად შეიზღუდა უფლებადამცველი ორგანიზაციების წვდომა საჯარო ინფორმაციაზე.**<sup>1</sup>

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ერთ-ერთ გამოწვევად დაასახელეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, როდესაც ღია მმართველობის პარტნიორობას (OGP) „რეაგირების მექანიზმის“ ფარგლებში მიმართეს და საქართველოში ღია მმართველობის პრინციპების დარღვევებზე საუბრობდნენ. საკითხის შესწავლის შემდეგ, OGP-იმ ვალიდურად მიიჩნია სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარდგენილი პრობლემური საკითხები, მათ შორის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და მთავრობას მოუწოდა მისი გაუმჯობესებისკენ.

ხშირია შემთხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებები არღვევენ ინფორმაციის გაცემისთვის კანონით დადგენილ ვადებს, კანონქმეუსაბამოდ არ გაცემენ საჯარო ინფორმაციას ან, საერთოდ, უპასუხოდ ტოვებენ შესაბამის განცხადებებს. მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრის (CMIS) კვლევის „საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 2023-2024 წლებში“ თანახმად, სამართლებრივი ვალდებულების მიუხედავად ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები საჯარო ინფორმაციის წერილებს არ პასუხობენ საერთოდ (41%) ან კანონით დადგენილ ვადების დარღვევით პასუხობენ (18%).

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ანგარიშის მიხედვით, „2022 წლიდან საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მხრივ არსებული მდგომარეობა მკვეთრად უარესდება. მაგალითად, 2022 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე გაცემული პასუხების პროცენტული მაჩვენებელი (58%), 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი შედეგი იყო. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველაზე მეტად გააუარესეს სამინისტროებმა და მათ დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმა, რომლებიც მასშტაბურად უპასუხოდ ტოვებენ IDFI-ის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს.“

6

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ცნობით, 2022 წელს საქართველოს მთავრობამ 47 სხდომაზე 372 განკარგულების პროექტი განიხილა, თუმცა დამტკიცებული განკარგულებები არ გაასაჯაროვა. მთავრობის ადმინისტრაცია და სამინისტროები ვებ-გვერდები და შეაფასა გამოსაქვეყნებლად სავალდებულო საჯარო ინფორ-

<sup>1</sup> საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2023, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>.

<sup>2</sup> Letter of Concern, by the Open Government Interagency Coordination Council of Georgia member civil society organizations, April 13, 2023, <https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2023/04/Georgia-Letter-of-Concern-20230413.pdf>.

<sup>3</sup> OGP Response Policy Concern Report: Georgia, Approved by Criteria and Standards Subcommittee on 16 February 2024, <https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2024/04/Georgia-Response-Policy-Review-Report-CS-approved-20240216.pdf>.

<sup>4</sup> საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 2023-2024 წლებში, მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი (CMIS), <https://drive.google.com/file/d/1DqZkhTnBTrXQRiryQyES67-uZpLqdc9/view>.

<sup>5</sup> საჯარო ინფორმაციის მკვეთრად გაუარესებული ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ივნისი 8, 2023, [https://idfi.ge/ge/sharp\\_decline\\_in\\_access\\_to\\_public\\_information](https://idfi.ge/ge/sharp_decline_in_access_to_public_information).

<sup>6</sup> საქართველოს მთავრობა გადაწყვეტილებებს გაუმჭვირვალე რეჟიმში იღებს, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, მარტი 17, 2023, <https://transparency.ge/ge/blog/sakartvelos-mtavroba-gadacqvetilebebs-gaumchvirvale-rezhimshi-igebbs>.

ინფორმაციის საფუძველზე გამოთხოვის 47-ვე განცხადება. კანონის მოთხოვნის შესაბამისად,<sup>7</sup> მთავრობის მიერ განკარგულებების მიღებიდან მაქსიმუმ 3 სამუშაო დღეში პროაქტიულად უნდა ქვეყნდებოდეს.

ასევე პრობლემურია საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ნაწილიც. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, **საჯარო დაწესებულებათა უმეტესი ნაწილი ვერ ან არ ასრულებს ამ ვალდებულებას სრულყოფილად.** IDFI-ის შეფასებით, „საჯარო დაწესებულებები ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტის დამკვიდრების საწყის ეტაპზე უფრო მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, ვიდრე ბოლო წლებში. მაგალითად, 2014 წლის მონიტორინგის შედეგებით, საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების საერთო მაჩვენებელი შეადგენდა 71%-ს, ხოლო 2019-2023 წლებში ეს მაჩვენებელი 50-60% მერყეობდა.“<sup>8</sup>

2024 წელს IDFI-მ შეისწავლა 14 ცენტრალური საჯარო დაწესებულების (პარლამენტი, მთავრობის ადმინისტრაცია და სამინისტროები) ვებ-გვერდები და შეაფასა გამოსაქვეყნებლად სავალდებულო საჯარო ინფორმაცია 7 კატეგორიაში. მონიტორინგმა აჩვენა, რომ არც ერთ სახელმწიფო უწყებას 7-ვე კატეგორიის მიხედვით სრულყოფილი და განახლებული ინფორმაცია არ აქვს გამოქვეყნებული. უწყებების 71%-ს გამოქვეყნებული არ ჰქონდა 2023 წელს მიღებული და გაცემული გრანტების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია, 65%-ს სრულყოფილად გამოქვეყნებული არ ჰქონდა 2024 წლის პირველ კვარტალში სარეზერვო ფონდებიდან მიღებული დაფინანსების და 2023 წლის საქმიანობის წლიური ანგარიშები. აღსანიშნავია, რომ კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომლის ბიუჯეტი 470 მილიონი ლარია, 3 წელზე მეტია საკუთარი ოფიციალური ვებგვერდიც კი არ აქვს.<sup>9</sup>

არასამთავრობო ორგანიზაციების საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა მათი „საზოგადოებრივი მეთვალყურის“ ფუნქციის შესრულების ხელშეშლას, ვინაიდან, მათი მუშაობა ხელს უწყობს ცალკეულ საკითხებზე ინფორმირებული საჯარო დებატების გამართვას. ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები საფრთხეს უქმნის მედიასაქმიანობის ეფექტიანობასაც.<sup>10</sup>

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ნაწილში, ერთი მხრივ, პრობლემურია **მონიტორინგისა და ზედამხედველობის არაეფექტური სისტემა.** არ არსებობს ცენტრალიზებული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამ პროცესის მონიტორინგზე, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებასა და შესაბამის რეაგირებაზე, რაც ართულებს პრობლემების მიმართ სისტემურ მიდგომასა და მათ გადაჭრას. ხოლო მეორე მხრივ, **გასაჩივრების მექანიზმების არაეფექტურობა.** აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირ სასამართლოში, რომელიც, თავის მხრივ, გადატვირთულია, რაც პროცესს დროში აჭიანურებს და ხდის არაეფექტურს. ინფორმაცია კი, თავის მხრივ, არის მალეფუჭებადი პროდუქტი და, იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარე მისთვის საინტერესო ინფორმაციას

<sup>7</sup> საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის №77 დადგენილება, მუხლი 22, <https://matsne.gov.ge/document/view/4062183>.

<sup>8</sup> არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების “გამჭირვალბობის” კვლევით დაკავებული ხელისუფლების გამჭირვალბობა, ივლისი 18, 2024, <https://idfi.ge/ge/transparency-of-the-government-preoccupied-with-the-transparency-of-civil-society-and-media-organizations>.

<sup>9</sup> იქვე.

<sup>10</sup> იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; გუსევა ბულგარეთის წინააღმდეგ, § 37; შაპოვალოვი უკრაინის წინააღმდეგ, § 68. *Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina*, § 86, *TÁRSASÁG A SZABADSÁGJOGOKÉRT v. HUNGARY*.

დროულად ვერ მიიღებს, შესაძლოა, ინფორმაციის დაგვიანებით გაცემის შემთხვევაში, დაკარგული იყოს მისი აქტუალობა და, შესაბამისად, მომთხოვნის პირის ინტერესი.

IDFI-ის მონიტორინგის საფუძველზე გამოვლინდა<sup>11</sup>, რომ:

- **პირველი ინსტანციის სასამართლო** სარჩელის მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანას საშუალოდ 6,5 თვეს ანდომებს, მაშინ, როცა კანონმდებლობით აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე კი 5 თვეს.
- **სააპელაციო სასამართლო** 10 დღის ვადაში განიხილავს საჩივრის დასაშვებობას და საჩივრის დასაშვებად ცნობიდან საქმის განხილვისთვის აქვს 2 თვის ვადა. პრაქტიკაში სააპელაციო სასამართლოები გადაწყვეტილების გამოტანას საშუალოდ 8,5 თვეს ანდომებენ.
- **უზენაესი სასამართლო** საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ დავებზე გადაწყვეტილების გამოტანას საშუალოდ 1 წელსა და 1 თვეს ანდომებს. კანონის მიხედვით კი ადმინისტრაციულ საქმეზე საკასაციო სასამართლოში საჩივრის მიღებისა და გადაწყვეტილების გამოტანის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

საბოლოოდ, ამ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, აფერხებს საჯარო ზედამხედველობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც, თავის მხრივ, ართულებს საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საზოგადოების ინფორმირებულობას და მათი მხრიდან თანამდებობის პირებზე პასუხისმგებლობის დაკისრებას.<sup>12</sup>

რაც შეეხება ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობას, მიუხედავად ციფრული მმართველობის მიმართულებით გარკვეული პროგრესისა, რაც გამოიხატა საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, სხვადასხვა სამთავრობო პორტალისა და აპლიკაციის შექმნაში, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ კანონის მიღებასა და ქვეყანაში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდაში, ღია მონაცემების სფერო კვლავ განვითარების საწყის ეტაპზეა. მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ ფრაგმენტულად, რაც ზღუდავს მათ გამოყენებას როგორც სამოქალაქო საზოგადოების, ისე ბიზნესის და აკადემიური წრეების მიერ.<sup>13</sup> არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია ღია მონაცემების მიმართულებით, რაც აფერხებს ამ სფეროს განვითარებას.<sup>14</sup>

საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის მიახლოებითი ზომა შეადგენს მშპ-ს 0.9%-ს, რაც 2023 წლის მოსალოდნელი მშპ-ის გათვალისწინებით, 714.2 მილიონ ლარს უტოლდება. მათ შორის, ღია მონაცემების პირდაპირი ბაზრის ზომა არის 153.9 მილიონი ლარი, ხოლო არაპირდაპირი ბაზრის ზომა 560.3 მილიონი ლარი. 2023 წელს საქართველოში ღია მონაცემებით პირდაპირ დასაქმებული იყო დაახლოებით 800 პირი, ხოლო ღია მონაცემებით ირიბად შექმნილი იყო დაახლოებით 2,912 სამუშაო ადგილი. ღია მონაცემების ბაზრის განვითარების საბაზისო სცენარის მიხედვით, 2030 წლის მდგომარეობით, საქართველოს ღია მონაცემების ბაზრის ზომა იქნება დაახლოებით 1 მილიარდი ლარი, ხოლო მაღალი პროგრესის პირობებში - 1.4 მილიარდი ლარი. საბაზისო სცენარის მიხედვით, 2030 წლამდე საქართველოში ღია მონაცემებით დამატებით დასაქმდება 268 პირი, ხოლო მაღალი პროგრესის პირობებში - 3,802 პირი.<sup>15</sup> ამასთან, საქართველოში სამთავრობო უწყებებში დანერგილი არ არის მონაცემთა მართვის ერთიანი პოლიტიკა და პრინციპები.

<sup>11</sup> საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უფლება სამართლიან სასამართლოზე, ივლისი 11, 2022, [https://idfi.ge/ge/access\\_to\\_public\\_information\\_and\\_the\\_right\\_to\\_a\\_fair\\_trial](https://idfi.ge/ge/access_to_public_information_and_the_right_to_a_fair_trial).

<sup>12</sup> საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 2023-2024 წლებში, მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი (CMIS), <https://drive.google.com/file/d/1DqZkhTnBTrXQRtyQyES67-uZpLqdc9/view>

<sup>13</sup> IDFI (2020), ღია მონაცემების მდგომარეობა საქართველოში.

<sup>14</sup> Open Government Partnership. (2019). OGP Toolbox.

<sup>15</sup> IDFI. (2024). ღია სამთავრობო მონაცემების საჭიროებების კვლევა საქართველოში

**საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების მცდელობები**

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ვალდებულება საქართველოს მთავრობამ 2014 წლიდან რამდენჯერმე, სხვადასხვა მულტისექტორული რეფორმის პოლიტიკის დოკუმენტით აიღო, თუმცა საბოლოოდ, მათი შესრულების ხარისხი დღემდე მაინც დაბალი რჩება.

„ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის ინიცირების ვალდებულება მთავრობამ პირველად 2014 წელს ევროკავშირთან დადებული ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგის ფარგლებში შემუშავებული ეროვნულ სამოქმედო გეგმის ფარგლებში აიღო.<sup>16</sup> 2014 წელსვე, ეს ვალდებულება აისახა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამოქმედო გეგმაში<sup>17</sup> და მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა, რომ „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ ახალი კანონპროექტი პარლამენტსა და მთავრობას 2015 წლის გაზაფხულზე წარედგინებოდა. დადგენილების თანახმად, ახალი კანონის მიღების მიზანი „ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების დახვეწა; კანონმდებლობასა და პრაქტიკას შორის არსებული განსხვავებების აღმოფხვრა; ნათელი და კონკრეტული რეგულირებების შემუშავება“ იყო. ვალდებულების შესრულების პასუხისმგებელ უწყებად იუსტიციის სამინისტრო განისაზღვრა.

2014 წელს იუსტიციის სამინისტრომ კანონპროექტზე მუშაობა დაიწყო. პროცესში ჩართული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ქართველი და უცხოელი ექსპერტები. სამუშაო ჯგუფმა დოკუმენტის პირველი ვერსია იმავე წელს შექმნა. მიუხედავად ამისა, 2015 წელს კანონპროექტის წარდგენა არ მომხდარა.

18

კანონის შექმნა, ასოცირების დღის წესრიგის 2016 წლის სამოქმედო გეგმაშიც მოხვდა, თუმცა, სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის თანახმად: „მიმდინარეობს ინფორმაციის თავისუფლების კანონპროექტის დახვეწა საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად და პარლამენტს დასრულებისთანავე წარედგინება.“

მას შემდეგ, „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონპროექტის მომზადება და მისი ინიცირების ვალდებულება საქართველოს მთავრობამ შემდეგი დოკუმენტებით აიღო: ღია მმართველობა საქართველოს (OGP Georgia) 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა,<sup>19</sup> ასოცირების დღის წესრიგის 2017, 2018 და 2019 წლების სამოქმედო

<sup>16</sup> საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 2014 წლის 3 სექტემბერი, მთავრობის განკარგულება N1516, დანართი გვ. 44, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496190>.

<sup>17</sup> ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს (OGP Georgia) 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა, <https://ogpgeorgia.gov.ge/upload/pages/24/%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%202014%20-%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf>.

<sup>18</sup> ასოცირების შეთანხმების და დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმები, <https://mfa.gov.ge/european-union/879251-asotsirebis-shetankhmebisa-da-dghis-tseregig-gankhortsielebis-erovnuli-samoqmedo-gegmebi>.

<sup>19</sup> ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის №539 დადგენილება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3456448>.



გეგმები,<sup>20</sup> საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა<sup>21</sup> და ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა.<sup>22</sup> ბოლო ორი დოკუმენტით კანონპროექტის მთავრობისთვის წარდგენის ვადად 2019 წლის ბოლო იყო განსაზღვრული, ხოლო პასუხისმგებელ უწყებად იუსტიციის სამინისტროს ნაცვლად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია.

2019 წლის შემდეგ „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის შემუშავებისა და ინიცირების ვალდებულება მთავრობას არც ერთი პოლიტიკის დოკუმენტით აღარ აუღია.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს იუსტიციის სამინისტრომ დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კანონპროექტის პირველადი ვერსია. კანონპროექტის ამ ვერსიით გათვალისწინებული იყო ახალი ინსტიტუტის - ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერის შემოღება, რომლის ფუნქციაც ქვეყნის მასშტაბით ინფორმაციის თავისუფლების დაცვის ზედამხედველობა უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, საერთაშორისო კარგ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოვიდა და დაზუსტდა კანონში აქამდე არსებული ტერმინები და განმარტებები, საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები, რეესტრის წარმოების წესები და ინფორმაციის დამუშავების კრიტერიუმები. შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტის მიღებით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდებოდა ინფორმაციის თავისუფლების საკანონმდებლო გარანტიები. კანონპროექტის ტექსტის გასაჯაროების და დაინტერესებული მხარეების მიერ იუსტიციის სამინისტროსთვის შენიშვნების მიწოდების მიუხედავად, კანონპროექტის მთავრობისთვის ან პარლამენტისთვის წარდგენა არ მომხდარა.<sup>23</sup>

### **საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სამართლებრივი საფუძვლის შექმნა**

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, 2013 წელს, ღია მმართველობა საქართველოს (OGP) სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულების ფარგლებში, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება.<sup>24</sup> დადგენილებით ჩამოყალიბდა იმ საჯარო ინფორმაციის ნუსხა, რომელიც გარკვეული პერიოდულობით, დადგენილებით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოებს პროაქტიული ფორმით უნდა განეთავსებინათ თავიანთ ვებგვერდებზე. ხსენებული დადგენილების შემუშავება მხოლოდ პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს, რადგან აღნიშნულმა საქართველოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი გააუმჯობესა. თუმცა, დროის გასვლასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოება. ამასთან, გამოწვევები არსებობს თავად ამ დადგენილებით განსაზღვრული ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, როცა პრაქტიკაში ადმინისტრაციული ორგანოები ან ნაწილობრივ ასრულებენ, ან საერთოდ არ ასრულებენ ამ მოთხოვნებს.

<sup>20</sup>ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმები, <https://mfa.gov.ge/european-union/879251-asotsirebis-shetankhmebisa-da-dghis-tseshigis-gankhortsielebis-erovnuli-samoqmedo-gegmebi>.

<sup>21</sup>საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივნისის N 274 დადგენილება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4586360>.

<sup>22</sup>საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის N484 დადგენილება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4586360>.

<sup>23</sup>„ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღების ვალდებულება კვლავ შეუსრულებელი რჩება, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 21 დეკემბერი, 2021, <https://transparency.ge/ge/blog/inpormaciis-tavisuplebis-shesaxeb-kanonis-migebis-valdebuleba-kvlav-sheusrulebeli-rcheba>.

<sup>24</sup>საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება №219, 2013 წლის 26 აგვისტო, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2001875>.

## პირველი ნაბიჯები ღია სამთავრობო მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

2012 წელს იუსტიციის სამინისტროს სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს (ამჟამად სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო) მიერ შეიქმნა ღია მონაცემების პორტალი - data.gov.ge, რომელიც მიზნად ისახავდა ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაზრდით ციფრული სერვისების და ახალი აპლიკაციების შექმნის შესაძლებლობას. დღევანდელი მდგომარეობით, ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებულია სულ 174 მონაცემთა ბაზა, რომელთა უმრავლესობა 2019 წლის შემდეგ არ განახლებულა. ბოლო მონაცემთა ბაზა პორტალზე განთავსდა 2022 წლის 25 იანვარს.<sup>25</sup> აღსანიშნავია, რომ ვებგვერდზე ამჟამად არ არის განთავსებული არცერთი აპლიკაცია, რომელიც შექმნილი იქნებოდა პორტალზე განთავსებული მონაცემთა ბაზების გამოყენებით.

## პრობლემის მნიშვნელობა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს უფლება მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, ასევე, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტებს.<sup>26</sup>

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები საქართველოში თავმოყრილი არ არის ერთ ცალკე მდგომ აქტში (Stand-alone law), იგი სხვადასხვა აქტშია გადანაწილებული. **არსებული ჩარჩო არ არის სრულყოფილი, ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას, არ იძლევა საჯარო ინფორმაციის სწრაფი და სრულყოფილი მიღების, ასევე გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმების გარანტიებს.**

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა მეტწილად რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომელიც საჯარო დაწესებულებებისთვის აწესებს ზოგად და მინიმალურ სტანდარტებსა და პროცედურას. დამატებით, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ.“<sup>27</sup>

„საჯარო მმართველობის პრინციპების“ მიხედვით, ღია და გამჭვირვალე საჯარო მმართველობა აუცილებლად გულისხმობს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას. კერძოდ, ყველას უნდა ჰქონდეს უფლება დროულად მიიღოს საჯარო ინფორმაცია, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში, ისარგებლოს ამ გადაწყვეტილების დამოუკიდებელ ორგანოში ან სასამართლოში ეფექტური გასაჩივრების მექანიზმით.<sup>28</sup>

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაცია<sup>29</sup> და, ამავდროულად, საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმაზე აღებული ვალდებულებაცაა.<sup>30</sup> ამასთან, საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ან-

<sup>25</sup> სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ (რომელიც ადმინისტრირებას უწევს ღია მონაცემების პორტალს) მოწოდებული ინფორმაცია.

<sup>26</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 18.

<sup>27</sup> საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2001875>.

<sup>28</sup> OECD (2023), *The Principles of Public Administration*, OECD, Paris, <https://www.sigmaweb.org/publications/Principles-of-Public-Administration-2023.pdf>, Principle 15.

<sup>29</sup> OECD (2016), *Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action Plan, Anti-Corruption Reforms in GEORGIA*, p.75; GRECO (2024), *Fifth Evaluation Round Georgia, Preventing corruption and promoting integrity in central governments (top executive functions) and law enforcement agencies*.

<sup>30</sup> ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმები, <https://mfa.gov.ge/european-union/879251-asotsirebis-shetankhmebis-da-dghis-tseregig-gankhortsielebis-erovnuli-samoqmedo-gegmebi>.

-ტიკორუფციული მექანიზმია, რომლის უზრუნველყოფა საქართველოს გაერო-ს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციითაც (UNCAC) ევალება.<sup>31</sup>

ამასთან, გარდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა, მთავრობის გამჭვირვალობას, მოქალაქეთა ჩართულობასა და ინოვაციების განვითარებას ხელს უწყობს საჯარო სექტორის მონაცემების ხელმისაწვდომ ფორმატში გამოქვეყნება.<sup>32</sup> ღია სამთავრობო მონაცემების (შემდგომში „ღია მონაცემები“) კონცეფცია გულისხმობს საჯარო მონაცემების თავისუფლად, მანქანაკითხვად ფორმატში ხელმისაწვდომობასა და გამოყენებას. აღნიშნული საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, ბიზნესს, აკადემიურ საზოგადოებასა და საჯარო დაწესებულებებს გამოიყენონ ეს მონაცემები სხვადასხვა მიზნისთვის, მათ შორის პოლიტიკური გადაწყვეტილებების გასაუმჯობესებლად, ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციისთვის და ახალი სერვისების შექმნისთვის.

ღია მონაცემების პრინციპები გულისხმობს, რომ საჯარო ინფორმაცია უნდა იყოს სრული, პირველადი, დროული, ხელმისაწვდომი, მანქანაკითხვადი, არადისკრიმინაციული და როგორც ლიცენზიისგან, ასევე საავტორო უფლებებისგან თავისუფალი.<sup>33</sup>

ღია მონაცემები წარმოადგენს მნიშვნელოვან რესურსს, რომელსაც შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე რამდენიმე ძირითად სფეროში: ეკონომიკური განვითარება, გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, პოლიტიკის დაგეგმვა და სამეცნიერო კვლევა.<sup>34</sup>

საქართველოში ღია მონაცემების საჭიროებისა<sup>35</sup> და ღია მონაცემების მართვის სისტემის შეფასების უახლესმა<sup>36</sup> კვლევებმა შეაფასეს ღია მონაცემთა მმართველობის სისტემა ქვეყანაში და აჩვენეს ღია მონაცემების კუთხით გამოკვეთილი საჭიროებები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოს უკანასკნელი შეფასებები ღია მონაცემების კუთხით. ღია მონაცემების მზაობის 2021 წლის შეფასებით,<sup>37</sup> კვლევის ოთხივე კომპონენტში საქართველომ ბოლო ადგილი დაიკავა, 34 ქვეყანას შორის 17% დააგროვა და „დამწყების“ სტატუსი მიენიჭა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეფასების ოთხივე კომპონენტში (Policy, Portal, Impact, Quality) აუცილებელია გაუმჯობესების კუთხით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

მონაცემების გლობალური ბარომეტრი (GDB) ქვეყნებს მონაცემთა მართვის/განკარგვის, შესაძლებლობების, და გამოყენებადობის კუთხით აფასებს. 2022 წლის შეფასების მიხედვით,<sup>38</sup> საქართველო 109 ქვეყნიდან 39-ე ადგილზეა, ხოლო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 15 ქვეყანას შორის 40.3 ქულით მეხუთე ადგილს იკავებს.

ღია მმართველობა საქართველოს (OGP) 2014-2015, 2016-2017 და 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმები, <https://www.ogp.gov.ge/action-plan/>; საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, <https://matsne.gov.ge/document/view/4586360>, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4586360>.

<sup>31</sup> United Nations Convention Against Corruption, [https://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/Convention/08-50026\\_E.pdf](https://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/Convention/08-50026_E.pdf).

<sup>32</sup> Open Knowledge Foundation. (2012). Open Data Handbook.

<sup>33</sup> Open Data Charter. (2015). International Open Data Charter.

<sup>34</sup> World Bank. (2021). Open Government Data Toolkit.

<sup>35</sup> IDFI. (2024). ღია სამთავრობო მონაცემების საჭიროებების კვლევა საქართველოში

<sup>36</sup> USAID, NGP. (2024). ღია მონაცემების მართვის სისტემის შეფასება

<sup>37</sup> [https://data.europa.eu/sites/default/files/country-factsheet\\_georgia\\_2021.pdf](https://data.europa.eu/sites/default/files/country-factsheet_georgia_2021.pdf)

<sup>38</sup> <https://globaldatabarometer.org/wp-content/uploads/2022/05/GDB-Report-English.pdf>

დია მონაცემთა აღწერის 2022 წლის შეფასებით<sup>39</sup>, საქართველოს სტატისტიკის სისტემის საერთო შეფასებამ 71 ქულა შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის რეიტინგი წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებულია და 195 ქვეყანას შორის საქართველო 28-ე ადგილზეა. დია მონაცემების აღწერის შეფასების თანახმად ODIN-ის 61-დან 80 ქულამდე მოხვედრილი ქვეყნები აკმაყოფილებენ შეფასების კრიტერიუმებს, თუმცა მაინც არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას.

## პრობლემის ფორმულირება/პრობლემის სტრუქტურირება

წარმოდგენილ პოლიტიკის დოკუმენტში იდენტიფიცირებული მასშტაბური პრობლემა განხილული და სტრუქტურირებულია შემდეგი ორი მიმართულებით:

### I. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

### II. სამთავრობო მონაცემების დია მონაცემების ფორმატში ხელმისაწვდომობა

თითოეული მიმართულებით წარმოდგენილია პრობლემის გამომწვევი ძირითადი მიზეზები და გამომწვევი ფაქტორები და ასევე აღწერილია ის უარყოფითი შედეგები, რაც ერთი მხრივ, საჯარო ინფორმაციაზე, ხოლო მეორე მხრივ, სამთავრობო მონაცემების დია მონაცემების ფორმატში ხელმისაწვდომობის ნაკლებობის საფუძველზე ჩნდება.

### I. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

#### **პრობლემა №1. საკანონმდებლო ჩარჩოს არარსებობა**

საქართველოში საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმები კონსოლიდირებული არ არის ნორმატიულ აქტში და არსებული ჩარჩო არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებსა და კარგ პრაქტიკას. აღნიშნული იწვევს ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არაერთგვაროვან პრაქტიკას და იგი ხშირად ხდება ინფორმაციის გაცემასთან/გამოქვეყნებასთან დაკავშირებით არასწორი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი.

დღეს არსებული კანონმდებლობის გავრცელება შეზღუდულია და საჭიროებს იმ დაწესებულებათა წრის გაფართოებას, რომლებიც ვალდებული არიან, გასცენ საჯარო ინფორმაცია. ამასთან, კანონმდებლობაში არ არის დაზუსტებული საჯარო ინფორმაციის ცნება, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაციის გაცემის ვადები. გარდა ამისა, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრას თითოეული ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, თუმცა, მათი კონკრეტული ფუნქციების შესახებ კანონი არაფერს ამბობს. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სათანადო ზომებს, იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეები, ორგანიზაციები, ვერ სარგებლობენ საჯარო ინფორმაციაზე წვდომის უფლებით.

აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ მთავრობის დადგენილება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობასთან და ფინანსებთან დაკავშირებული მინიმალური ინ-

<sup>39</sup> <https://odin.opendatawatch.com/ReportCreator/ExportCountryReport/GEO/2022>

-ფორმაციის ჩამონათვალს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს პროაქტიული გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტს.<sup>40</sup> ამასთან, უწყებები განსხვავებული ხარისხით ასრულებენ პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებებს. არათანმიმდევრულ პრაქტიკას განაპირობებს ერთიანი სტანდარტის არ არსებობაც.<sup>41</sup>

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა როგორც ინფორმაციის გაცემის, უარის თქმის შემთხვევაში დასაბუთების და კომუნიკაციის, ასევე პროაქტიულად გამოქვეყნების ნაწილში. ამასთან, არ არსებობს ერთი მაკოორდინირებული უწყება.

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა როგორც ინფორმაციის გაცემის, უარის თქმის შემთხვევაში დასაბუთების და კომუნიკაციის, ასევე პროაქტიულად გამოქვეყნების ნაწილში. ამასთან, არ არსებობს ერთი მაკოორდინირებული უწყება.

### **პრობლემა №2. კანონმდებლობის პრაქტიკაში აღსრულების არაეფექტიანი სისტემა**

არსებული ნორმების იმპლემენტაციის სირთულე, ასევე, განპირობებულია აღსრულების მექანიზმების სისუსტით. მოქმედი რეგულაცია ითვალისწინებს სასამართლოს ზედამხედველობას, რაც, თავისთავად, რთული და ხანგრძლივი მექანიზმია, განსხვავებით სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობისაგან, სადაც საზედამხედველო ორგანოდ სასამართლოს გარდა გათვალისწინებულია სპეციალური უწყება. მსგავსი ორგანოს არსებობა ხელს უწყობს როგორც კონკრეტული შემთხვევების სწრაფ განხილვასა და რეაგირებას, ისე, ზოგადად, ნორმების იმპლემენტაციის ხელშეწყობას და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

### **პრობლემა №3. საჯარო ინფორმაციის მენეჯმენტის არაეფექტიანი მექანიზმები**

გარდა იმისა, რომ პრობლემას წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის დროული და სრულყოფილი გაცემა, პრობლემურია მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სტატუსის შესახებ ინფორმაციის მიღება. საჯარო დაწესებულებები საჯაროდ არ აქვეყნებენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებებს და არც საპასუხო წერილებს (გაცემულ ინფორმაციას). პრობლემაა ასევე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ხშირ შემთხვევაში, გამოქვეყნებული ინფორმაციის მიგნება სამთავრობო ვებგვერდებზე. მოქალაქეებს და სხვა დაინტერესებულ პირებს არ აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ და დაამუშაონ ის ინფორმაცია, რომელიც საჯარო დაწესებულებამ უკვე გასცა მოთხოვნის საფუძველზე. ეს ზრდის ერთი და იგივე ინფორმაციის რამდენჯერმე მოთხოვნისა და გაცემის შემთხვევებს, რაც დამატებითი ტვირთია, როგორც ორგანიზაციებისთვის, ასევე დაინტერესებული მხარეებისთვის.

არ არსებობს ერთიანი პორტალი, სადაც მოქალაქეს შეეძლება ინფორმაციის მოთხოვნა, მაგრამ ასევე თავისი მოთხოვნილი ინფორმაციის სტატუსის გადამოწმება, მიღებული პასუხის ნახვა და ამასთან, სხვათა მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის ნახვის და დამუშავების საშუალება. გარდა ამისა, ამ ინფორმაციის მოძებნა არც უწყებების მიერაა შესაძლებელი. მაგალითად, რამდენი და რა ტიპის მოთხოვნა მიიღო წლის განმავლობაში X სამინისტრომ, რა იყო რეაგირება/გაცემული პასუხი და ა.შ ამ შემთხვევაში, ზოგადი სტატისტიკების გენერირებაც იქნებოდა შესაძლებელი.

<sup>40</sup> საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა საჯარო დაწესებულებებში 2022, ინფორმაციის თავისუფლების გავითარების ინსტიტუტი (IDFI),

[https://idfi.ge/ge/proactive\\_disclosure\\_of\\_public\\_information\\_on\\_georgian\\_public\\_institutions\\_websites\\_2022](https://idfi.ge/ge/proactive_disclosure_of_public_information_on_georgian_public_institutions_websites_2022).

<sup>41</sup> საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) სტრატეგია 2023-2026, <https://matsne.gov.ge/document/view/5723982>.

## II. სამთავრობო მონაცემების დია მონაცემების ფორმატში ხელმისაწვდომობა

### **პრობლემა №1. საკანონმდებლო ჩარჩოს და ერთიანი სტანდარტების არარსებობა**

საქართველოს არ გააჩნია საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც პირდაპირ დაარეგულირებდა დია მონაცემების საკითხებს. არსებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დია მონაცემების სპეციფიკურ საჭიროებებს და მოთხოვნებს, რაც იწვევს გაურკვევლობას და არაეფექტურობას მონაცემების მართვის პროცესში. კანონის არქონა ქმნის მნიშვნელოვან ბარიერს მონაცემების თავისუფალი ხელმისაწვდომობისთვის და გამოყენებისთვის. ეს აფერხებს მონაცემების სისტემატიზაციას და განაწილებას, რაც ართულებს მონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული სერვისების და აპლიკაციების შექმნას.

მონაცემების გამოქვეყნება არ არის სტანდარტიზებული, რაც ართულებს მონაცემების გამოყენებას. ფრაგმენტულად სხვადასხვა უწყებები მონაცემებს აქვეყნებენ განსხვავებულ ფორმატებში და განსხვავებული სტრუქტურებით, რაც ართულებს მონაცემების დაკავშირებას და შედარებას. სტანდარტების ნაკლებობა ართულებს მონაცემების გამოყენებას და მათ ინტეგრაციას სხვა მონაცემთა წყაროებთან. ეს ქმნის დაბრკოლებებს მონაცემთა ანალიზის და გამოყენების პროცესში, რაც აყოვნებს ინოვაციების განვითარებას და მონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

### **პრობლემა №2. მმართველობითი სისტემის არარსებობა**

საქართველოში არ არსებობს ცენტრალური მმართველობითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების მართვას და ხელმისაწვდომობას. მონაცემების გავრცელება და გამოყენება არის ფრაგმენტული და არაეფექტური. ცენტრალური მმართველობითი სისტემის არ არსებობა ართულებს მონაცემების მართვას და მონაცემთა ბაზების ერთიან პლატფორმაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ეს ქმნის დაბრკოლებებს მონაცემების ეფექტური გამოყენებისთვის და ხელს უშლის მონაცემების სრული პოტენციალის ათვისებას.

### **პრობლემა №3. მონაცემების გამოყენების ნაკლებობა**

დია მონაცემების არასათანადო გამოყენება ქვეყანაში კომპლექსური პრობლემაა, რომელიც რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით არის გამოწვეული: პირველ რიგში, ხშირად თავად მონაცემთა ხარისხი და სისრულე არ არის დამაკმაყოფილებელი - მონაცემები არ არის სრულყოფილი, განახლებული ან საკმარისად დეტალური, რაც ამცირებს მათ გამოყენებადობას. მეორე მხრივ, არსებობს ცოდნის და უნარების ნაკლებობა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და აკადემიურ სექტორებში იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ეს მონაცემები ეფექტურად იქნას გამოყენებული ინოვაციებისთვის და გადაწყვეტილებების მისაღებად. გარდა ამისა, ხშირად არ არსებობს მკაფიო სამართლებრივი ჩარჩო და პოლიტიკა, რომელიც წაახალისებდა დია მონაცემების გამოყენებას. ტექნიკური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა და მონაცემთა ფორმატების განსხვავებული სტანდარტები კიდევ უფრო ართულებს მათ ხელმისაწვდომობას და დამუშავებას. ყველა ეს ფაქტორი ერთობლივად ქმნის გარემოს, სადაც დია მონაცემების პოტენციალი რჩება აუთვისებელი. დია მონაცემები არ გამოიყენება ეფექტურად არც მთავრობის, არც ბიზნესისა და არც აკადემიური სექტორის მიერ. აღნიშნული აყოვნებს ინოვაციების განვითარებას და აფერხებს ახალი სერვისების და პროდუქტების შექმნას, რაც თავის მხრივ ეკონომიკური ზრდის და სოციალური პროგრესის პროცესს ანელებს.

## ძირითადი აქტორების/ დაინტერესებული მონაწილე პირების აღწერა

საჯარო ინფორმაციასა და ღია მონაცემებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების პროცესში მონაწილე ძირითადი აქტორები და დაინტერესებული პირები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებასთან. ისინი წარმოდგენილია როგორც საჯარო, ასევე კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებით. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი აქტორები და მათი როლი პროცესში:

### 1. საჯარო დაწესებულებები და სახელმწიფო უწყებები

**საჯარო დაწესებულებები** წარმოადგენენ ცენტრალურ აქტორებს ღია მონაცემების წარმოებაში, მართვაში და გავრცელებაში. მათი როლი მოიცავს:

**ინფორმაციის ფლობასა და მართვას** – საჯარო უწყებები ინახავენ და მართავენ მნიშვნელოვან მონაცემებს, მათ შორის ბიუჯეტის, ჯანდაცვის, განათლების, გარემოს დაცვისა და სხვა სექტორებში.

**მონაცემთა ღიად და გამჭვირვალედ გამოქვეყნებას** – სახელმწიფო უწყებების პასუხისმგებლობაა მონაცემთა ღია ფორმატში გამოქვეყნება და მათი განახლება.

**ანგარიშებას** – საჯარო სექტორი პასუხისმგებელია ანგარიშების მომზადებასა და იმაზე, თუ როგორ სრულდება მონაცემებზე ხელმისაწვდომობის პოლიტიკა.

### 2. საჯარო დაწესებულებები და სახელმწიფო უწყებები

**ადგილობრივი თვითმმართველობები** მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივ დონეზე ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში. მათ უნდა ჰქონდეთ:

**ადგილობრივი დონის მონაცემთა შინაარსობრივი მართვის უფლება** – მონაცემები, რომლებიც ეხება ადგილობრივ სერვისებს (მუნიციპალური ბიუჯეტები, ინფრასტრუქტურა, სოციალური დახმარებები).

**საზოგადოების ინფორმირების ვალდებულება** – ადგილობრივი დონეზე ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობისთვის და მათი საჭიროებების გათვალისწინება.

### 3. საკანონმდებლო ორგანოები

**საქართველოს პარლამენტი** არის ის ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციისა და ღია მონაცემების შესახებ კანონმდებლობის შექმნასა და გაუმჯობესებას. მისი როლი მოიცავს.

**კანონმდებლობის ინიცირებას** – ახალი კანონებისა და რეგულაციების ინიცირება და დამტკიცება, რაც აიძულებს საჯარო დაწესებულებებს, გაზარდონ გამჭვირვალობა და მონაცემთა ხელმისაწვდომობა.

**კონტროლსა და ზედამხედველობას** – პარლამენტი ახორციელებს კონტროლს, თუ რამდენად ეფექტიანად მიმდინარეობს კანონის აღსრულება.

#### 4. არასამთავრობო ორგანიზაციები (NGOs)

არასამთავრობო სექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც მონიტორინგში, ისე საჯარო ინფორმაციისა და ღია მონაცემების პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერაში. მათი როლი მოიცავს:

**ადვოკატირებას** – NGOs იცავენ საზოგადოების ინტერესებს, აქტიურად ცდილობენ, რომ საჯარო უწყებებმა გაზარდონ მონაცემების ხელმისაწვდომობა.

**მონიტორინგს** – მუდმივი ზედამხედველობა და ანგარიშგება პოლიტიკის ეფექტიანობის შესახებ.

**კვლევასა და ანალიზს** – მონაცემებზე წვდომის პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი კვლევების ჩატარება.

#### 5. მედია

მედია არის საზოგადოებრივი ინფორმირების ერთ-ერთი მთავარი წყარო, რომელიც იყენებს ღია მონაცემებს და საჯარო ინფორმაციას, რათა წარადგინოს მნიშვნელოვანი საკითხები საზოგადოებისთვის. მედიის როლი განისაზღვრება:

**ინფორმაციის გამჟღავნებით** – მედიას აქვს უნარი, გამოიყენოს ღია მონაცემები საგამოძიებო და ანალიტიკურ საქმიანობაში, რითაც მოაქვს საზოგადოების ინფორმირება.

**პოლიტიკის კრიტიკითა და ანგარიშვალდებულებით** – მედიას შეუძლია, გააკრიტიკოს და გააკონტროლოს საჯარო უწყებები მონაცემების არათანამიმდევრული გამოქვეყნების შემთხვევაში.

#### 6. აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები

აკადემიური და კვლევითი ინსტიტუტები წარმოადგენენ მნიშვნელოვან მონაწილეებს მონაცემთა ანალიზის, კვლევებისა და პოლიტიკის რეკომენდაციების მომზადებაში. მათ ფუნქციებში შედის:

**კვლევა და ანალიზი** – აკადემიური ინსტიტუტები იყენებენ ღია მონაცემებს კვლევების, ანალიზებისა და ახალი ცოდნის შესაქმნელად.

**რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა** – ისინი ადგენენ რეკომენდაციებს მონაცემებზე წვდომის გაუმჯობესებისთვის, რაც ემყარება კვალიფიციურ კვლევას და ანალიზს.

#### 7. ტექნოლოგიური და ბიზნეს სექტორი

ტექნოლოგიური და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები იყენებენ ღია მონაცემებს ინოვაციური სერვისებისა და პროდუქტების შესაქმნელად, რაც მოიცავს:

**ინოვაციებისა და აპლიკაციების შექმნას** – ტექნოლოგიური კომპანიები ქმნიან აპლიკაციებსა და პლატფორმებს, რომლებიც ეფუძნება ღია მონაცემებს, მაგალითად, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის ან ფინანსური სერვისების მიმართულებით.

**ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებას** – ღია მონაცემებზე წვდომა აძლიერებს ბიზნეს სექტორის განვითარების შესაძლებლობებს.



## 8. საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები

საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები მხარს უჭერენ მონაცემთა გამჭვირვალობასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საქართველოში. მათი როლია:

**ტექნიკური და ფინანსური დახმარება** – საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ ექსპერტიზასა და ფინანსურ დახმარებას მონაცემების ინფრასტრუქტურისა და რეგულაციების გაუმჯობესებაში.

**მონიტორინგი** – საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა მსოფლიო ბანკი, UNDP და სხვა აკვირდებიან, თუ რამდენად სრულდება საერთაშორისო ნორმები და სტანდარტები.

ასევე, **საერთაშორისო ორგანიზაციები და სტანდარტების შემუშავებლები** განსაზღვრავენ ღია მონაცემებისა და საჯარო ინფორმაციის საუკეთესო პრაქტიკებს და საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებსაც საქართველო უნდა მიჰყვას. კერძოდ, ღია მონაცემების შემთხვევაში მნიშვნელოვანია ღია მონაცემების ქარტიის (G8 Open Data Charter) პრინციპების გათვალისწინება და მსოფლიო ბანკის ღია მონაცემების მზაობის შეფასების (ODRA) გამოყენება. საჯარო ინფორმაციისთვის კი რელევანტურია OECD SIGMA-ს მიერ შემუშავებული საჯარო მმართველობის (PAR) პრინციპები, გაეროს ელ-მმართველობის განვითარების ინდექსის (EGDI) სტანდარტები და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) რეკომენდაციები გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია ევროკავშირის PSI (Public Sector Information) დირექტივის გათვალისწინება, რომელიც არეგულირებს საჯარო სექტორის ინფორმაციის ხელახალ გამოყენებას. ამ სტანდარტების დანერგვა ხელს შეუწყობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და გამოყენების გაუმჯობესებას.

## 9. ტექნოლოგიური და ბიზნეს სექტორი

მოქალაქეებს, როგორც ღია მონაცემების მომხმარებლები და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე პირებს, მონაცემებზე წვდომა უნდა უზრუნველყოს ყოველდღიურ ცხოვრებაში, სხვადასხვა გადაწყვეტილებების მისაღებად. ამასთან, მოქალაქეთა ჩართულობა მნიშვნელოვანია იმის გასაზომად, თუ რამდენად ეფექტიანად მუშაობს ღია მონაცემთა პოლიტიკა.

*ამ ყველა აქტორის თანამშრომლობა, დიალოგი და ჩართულობა უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციასა და ღია მონაცემებზე ხელმისაწვდომობის პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებასა და წარმატებას. ქვეით მოცემული პოლიტიკის ინტერვენციების ეფექტურობა მხოლოდ ამ აქტორთა ჩართულობით იქნება მიღწეული.*

### **რეკომენდაციები: მიზნები და ამოცანები**

საჯარო ინფორმაციისა და სამთავრობო მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფა რამდენიმე მიმართულებით საჭიროებს რეაგირებას. სიტუაციის ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ძირითადი პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობები შემოთავაზებულია ქვეით წარმოდგენილი 2 მიზნის ქვეშ და მოცემულია 3-3 ძირითადი ამოცანის ფარგლებში.

## **მიზანი 1: საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება**

- **ინდიკატორი 1.1:** საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე დროული გამოპასუხების წილი (მიზანი: კანონის ამოქმედებიდან 2 წელიწადში 90%-იანი წილი)
- **ინდიკატორი 1.2:** მოქალაქეთა კმაყოფილების დონე საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობით (მიზანი: კანონის ამოქმედებიდან 2 წელიწადში 70%-იანი კმაყოფილების დონე)

### **ამოცანა 1.1: საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის არსებული კანონმდებლობის გაუმჯობესება**

„ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება მიზნად ისახავს პრაქტიკაში წარმოშობილი პრობლემების გათვალისწინებით საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას, საჯარო ინფორმაციის მარეგულირებელი ნორმების კონსოლიდირებას ერთ ნორმატიულ აქტში, მათ საერთაშორისო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას, რამაც, თავის მხრივ, უნდა მოაწესრიგოს პრაქტიკა და დაეხმაროს როგორც მთავრობას, ისე არასამთავრობო სექტორსა და საზოგადოებას ღია და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის განვითარებაში. სპეციალური კანონი უზრუნველყოფს მყარ გარანტიებს საჯარო ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე.

გარდა ამისა, პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა, რომელიც ამჟამად მთავრობის დადგენილებით არის განსაზღვრული, გადაინაცვლებს კანონში. ასევე, კანონი დააწესებს საჯარო დაწესებულებების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დეტალურ ჩამონათვალს.

### **ამოცანა 1.2: საჯარო ინფორმაციის კანონმდებლობის პრაქტიკაში აღსრულების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა**

კანონმდებლობის ეფექტიანად აღსრულების ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე საზედამხედველო ორგანოს არარსებობაა. აღსანიშნავია, რომ ყველა განვითარებული სახელმწიფოს მოქმედი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის თავისუფლებას, ითვალისწინებს ამ უფლებაზე ზედამხედველობის კონკრეტულ მექანიზმს.

საჭიროა კონკრეტული უწყების იდენტიფიცირება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის **მონიტორინგსა და ზედამხედველობაზე, სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებასა და შესაბამის რეაგირებაზე**. იგივე ორგანო შეიძლება მოვიაზროთ „ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოდ“, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს თემატური საჩივრები.

ამ საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებში უნდა იყოს საჯარო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის კონსულტაციების გაწევა, ინფორმაციის თავისუფლების სფეროში კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება, ცნობიერების ამაღლებისთვის ზრუნვა და სხვა. ამ ორგანოს უნდა ჰქონდეს აღსრულების ძლიერი მექანიზმი. კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების საფუძვლით იგი უფლებამოსილი იქნება, შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელსაც აღსრულების მიზნით წარუდგენს სასამართლოს.

### **ამოცანა 1.3: თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის, გამოქვეყნებისა და ხელმისაწვდომობის გამარტივება**

ამ ამოცანით იქმნება ერთიანი ელექტრონული პორტალი - FOI.GOV.GE (Freedom of Information e-portal), სადაც შესაძლებელი იქნება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა, გამოთხოვილ ინფორმაციის სტატუსის ავტომატურ რეჟიმში შემოწმება, მიღებული პასუხის ნახვა და ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევაში, მისი დასაბუთების ნახვა. მსგავსი ინიციატივა აქვს მაგალითად, დიდ ბრიტანეთს, სადაც უწყებებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განაცხადები და მათზე პასუხებზე საჯაროდაა ხელმისაწვდომი.<sup>42</sup>

საჯარო დაწესებულების გაუჩინებლად ვალდებულება, ამ ვებგვერდის ქვეშ მოახდინონ საჯარო ინფორმაციის მენეჯმენტი. ვებგვერდი საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცესს გახდის უფრო მარტივსა და მოქნილს როგორც მოქალაქისთვის, ისე თავად საჯარო დაწესებულებისთვის. ამასთან, საჯარო ინფორმაციის ფარგლებში გაცემული ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობამ, ერთი მხრივ, ამ ინფორმაციის განმეორებით გამოთხოვა უნდა შეამციროს, ხოლო მეორე მხრივ, ამ ინფორმაციის მრავალჯერადი გამოყენება უნდა უზრუნველყოს.

ვებგვერდი იქნება საჯარო ინფორმაციის ერთიანი რეესტრი, რომელიც საჯარო ინფორმაციის სათანადო, სწრაფ, მარტივ და ეფექტურ ხელმისაწვდომობას ემსახურება. ვებგვერდის გამართულ ფუნქციონირებასა და კანონის მოთხოვნის შესაბამისად, მასში ინფორმაციის განთავსებაზე, შესაბამისად, საჯარო დაწესებულებების მიერ ამ მოთხოვნების შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელი იქნება „ინფორმაციის თავისუფლების კომისიონერი“ და მისი აპარატი (ამოცანა 1.1-ის ფარგლებში მიღებული კანონის საფუძველზე შექმნილი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო).

## **მიზანი 2: ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება**

- **ინდიკატორი 2.1:** ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებულ მონაცემთა წილი (მიზანი: 1 წელიწადში 50%-იანი ზრდა)
- **ინდიკატორი 2.2:** მიღებული და განახლებული კანონებისა და რეგულაციების რაოდენობა (მიზანი: მინიმუმ 2 მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება წელიწადში)
- **ინდიკატორი 2.3:** საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიცია (მიზანი: RTI რეიტინგში 10 პოზიციით გაუმჯობესება 3 წელიწადში)

### **ამოცანა 2.1: ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნითა და ერთიანი სტანდარტების დანერგვით**

აუცილებელია საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა, რომელიც დაარეგულირებს ღია მონაცემების საკითხებს. ეს ჩარჩო უნდა მოიცავდეს მონაცემების გამოქვეყნების, განაწილების და გამოყენების წესებს და სტანდარტებს. საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა გააუმჯობესებს მონაცემების ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფს მათ სტანდარტიზაციას, გაუმჯობესდება ინფორმაციისა და ღია მონაცემების პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტები. ნორმატიულ დონეზე უნდა დაარეგულირდეს ურთიერთობები მონაცემების მფლობელებს, სისტემის გამართულად ფუნქციონირებულ პასუხისმგებელ უწყებასა და მონაცემთა მომხმარებლებს შორის.

გარდა ამისა, მონაცემების ინტერპრეტაციისა და გამოყენების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია მონაცემების სტანდარტიზაცია. სტანდარტების დანერგვა გააუმჯობესებს მონაცემების ხელმისაწვდომობას და გაამარტივებს მათ ინტეგრაციას სხვადასხვა მონაცემთა ბაზებთან. უნდა შემუშავდეს მონაცემების გამოქვეყნების და განაწილების სტანდარტები, რომლებსაც დაიცავს ყველა საჯარო უწყება. უნდა შემუშავდეს ტექნიკური დირექტივები, რომლებიც დაარეგულირებენ მონაცემების ფორმატს, სტრუქტურას და გამოქვეყნების პროცესს.

<sup>42</sup> Transparency and freedom of information releases, <https://www.gov.uk/search/transparency-and-freedom-of-information-releases>.

## **ამოცანა 2.2: ღია მონაცემების ეფექტური მართვის უზრუნველყოფისთვის ცენტრალური მმართველობითი სისტემის შექმნა**

ღია მონაცემების ეფექტური მართვისთვის აუცილებელია ცენტრალური მმართველობითი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების განაწილებას და ხელმისაწვდომობას. ეს სისტემა უნდა მოიცავდეს მონაცემების ცენტრალიზებულ პლატფორმას, რომელიც გაამარტივებს მონაცემების განაწილებას და მართვას. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო “ადგენს საჯარო სექტორში არსებული ღია მონაცემების გამოქვეყნების ერთიან სტანდარტს და უზრუნველყოფს ერთიანი პორტალის მეშვეობით მათ ხელმისაწვდომობას”. შესაბამისად, სააგენტოს მიერ უნდა განახლდეს ცენტრალური პლატფორმა Data.gov.ge, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების განაწილებას და ხელმისაწვდომობას. პლატფორმამ უნდა უზრუნველყოს ღია მონაცემების უკლებლივ ყველა პრინციპის დაცვა. მნიშვნელოვანია, სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მხრიდან ხელი შეუწყოს, სახელმწიფო დაწესებულებებში ღია მონაცემების წარმოებისა და დამუშავების სისტემების განვითარებას. ღია მონაცემების წარმოებისა და დამუშავების სისტემების განვითარება გულისხმობს სახელმწიფო დაწესებულებებში ისეთი პროცესებისა და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და გამოქვეყნებას ღია, მანქანით წაკითხვად ფორმატში. ეს მოიცავს მონაცემთა ბაზების შექმნას, რომლებიც თავიდანვე ორიენტირებულია გამჭვირვალობაზე, ავტომატიზებული სისტემების დანერგვას, რომლებიც რეგულარულად და დროულად აახლებენ ინფორმაციას, ასევე მეტამონაცემების სტანდარტიზაციას და ხარისხის კონტროლის მექანიზმების შემუშავებას. ამგვარი სისტემების განვითარება საშუალებას მისცემს სახელმწიფო უწყებებს, ეფექტურად მართონ და გაავრცელონ საჯარო ინფორმაცია.

## **ამოცანა 2.3: ღია მონაცემების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მათი გამოყენების ხელშეწყობა**

აუცილებელია ღია მონაცემების გამოყენების აქტიური ხელშეწყობა, როგორც მთავრობის, ასევე ბიზნესისა და აკადემიური სექტორის მიერ. ამ ამოცანის ქვეშ, რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა მოიაზრება:

- **ტრენინგები და განათლება** - უნდა ჩატარდეს ტრენინგები და სემინარები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ღია მონაცემების გამოყენების შესახებ ცოდნის გავრცელებას.
- **მონაცემების პოპულარიზაცია** - უნდა განხორციელდეს მონაცემების პოპულარიზაციის კამპანიები, რომლებიც მოახდენენ საზოგადოების ინფორმირებას ღია მონაცემების მნიშვნელობის და გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.
- **პარტნიორობა** - უნდა ჩამოყალიბდეს პარტნიორობა საჯარო, კერძო და აკადემიურ სექტორებს შორის, რათა ხელი შეუწყოს მონაცემების გამოყენებას სხვადასხვა სექტორებში.
- **პრიორიტეტული სექტორების განსაზღვრა** - გულისხმობს ღია მონაცემებზე ყველაზე მაღალი პოტენციალის და გავლენის მქონე სექტორების იდენტიფიცირების კვლევის ფარგლებში, ამ სექტორის წარმომადგენლების საჭიროებების გათვალისწინებით, რომლის პირობებშიც გამოვლინდა მათთვის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები. თითოეული სექტორის მიერ დასახელებულ ყველაზე მნიშვნელოვან ღია სამთავრობო ბაზებს შორისაა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეესტრები, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსა და ანგარიშგების პორტალები. რესპონდენტთა დიდი ნაწილის მოსაზრებით, თუ აღნიშნული ბაზები API (აპლიკაციის პროგრამირების ინტერფეისი) ხელმისაწვდომი გახდება, დაინტერესებული მხარეები მარტივად შეძლებენ მონაცემების დამუშავებას და სასურველი აპლიკაციების შექმნას.

## რისკები და მათი მართვის მექანიზმები

საჯარო ინფორმაციასა და ღია მონაცემებზე ხელმისაწვდომობის პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე მუშაობისას, შესაძლოა, წავაწყდეთ რიგ წინააღმდეგობებს, რაც შეგვიძლია რისკებად დავადინტიფიციროთ. ეს რისკები, შესაძლოა, შეეხებოდეს როგორც ტექნიკურ, ისე პოლიტიკურ და იურიდიულ საკითხებს. მაგალითად:

რისკი:	მოკლე აღწერა:	რისკის მართვის მექანიზმ(ებ)ი:
<b>შემზღუდავი კანონმდებლობა</b>	არსებული სარეზიანი რეგულაციები, რომლებიც ართულებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოება, პირადი მონაცემების დაცვისა და ინფორმაციის განკარგვის წესები, და სხვა.	- იურიდიული ანალიზის ჩატარება არსებული კანონმდებლობისა და რეგულაციების შესახებ; - რეკომენდაციების შემუშავება ისეთი საკანონმდებლოაქტივებისათვის, რომლებიც ერთი მხრივ, გამართლებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ხოლო მეორე მხრივ - უზრუნველყოფს პირადი მონაცემების დაცვას.
<b>ტექნიკური დაბრკოლებები</b>	ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმართაობა ან სუსტი განვითარების დონე. მაგალითად, მონაცემების შენახვისა და გავრცელების არასაკმარისი რესურსი.	- ტექნიკური ინფრასტრუქტურის შეფასება და ინვესტიციების მიმართვა ღია მონაცემების მართვის სისტემების გასაუმჯობესებლად; - IT პერსონალის გადამზადება და ახალი სისტემების დანერგვის პროცესის მენეჯმენტის გაძლიერება.
<b>მონაცემების სიზუსტისა და სანდოობის პრობლემა</b>	მონაცემების სისრულე, განახლებადობა, სანდოობა.	- ინფორმაციის წყაროების მონიტორინგი და მონაცემთა რეგულარული განახლების მექანიზმების დანერგვა. - მონაცემთა ხარისხის კონტროლის ინსტრუმენტების შემუშავება.
<b>ინსტიტუციური და ადმინისტრაციული წინააღმდეგობა</b>	საჯარო უწყებების შიგნით შეიძლება არსებობდეს წინააღმდეგობა ღია მონაცემების გავრცელების მიმართ, რაც გამოწვეულია დაბალი ინფორმირებულობით ან პოტენციური პოლიტიკური რისკებისგან თავის არიდების სურვილით.	- საჯარო უწყებებთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება; - ცნობიერების ამაღლების კამპანიების დაგეგმვა, რათა გაიზარდოს ღია მონაცემების მნიშვნელობის გაგება.
<b>პირადი და კომერციული მონაცემების დაცვა</b>	მონაცემების საჯაროობამ, მათ შორის ღია ფორმატში გამოქვეყნებამ, დანერგვამ შესაძლოა გამოიწვიოს პირადი ან კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის გაჟონვის საფრთხე.	- სანდო დაცვის მექანიზმების შემუშავება, მათ შორის, მონაცემთა ანონიმიზაციისა და დაშიფვრის პროცესების გაუმჯობესება - მონაცემთა დაცვის რეგულაციების გაძლიერება და მათი შესაბამისობის მონიტორინგი.

<p><b>დაბალი ინფორმირებულობა</b></p>	<p>საზოგადოებისა და/ან პროფესიული წრეების ინფორმირებულობის არასაკმარისი დონე მონაცემების მნიშვნელობისა და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.</p>	<p>- საზოგადოების, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირების კამპანიების განხორციელება - ტრენინგებისა და სამუშაო სესიების მოწყობა, რომელიც ხელს შეუწყობს მონაცემების გამოყენების უნარ-ჩვევების ამაღლებას.</p>
<p><b>ფინანსური პრობლემები</b></p>	<p>ღია მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნა, შენახვა და მუდმივად განახლება შეიძლება მოითხოვდეს მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს.</p>	<p>- საერთაშორისო დონორების ან სახელმწიფო დაფინანსების წყაროების მოძიება და პარტნიორული პროექტების ინიცირება; - ხარჯების ეფექტურობის გათვალისწინება და მონაცემთა ადმინისტრირების ოპტიმიზაციის გზების მოძიება.</p>
<p><b>პოლიტიკური ნების ნაკლებობა</b></p>	<p>საჯარო ინფორმაციის გაცემა, მათ შორის ღია მონაცემების ფორმატში გამოქვეყნება, შეიძლება იყოს პოლიტიკურად არაპოპულარული ან გარკვეულ შემთხვევებში გამოიწვიოს წინააღმდეგობა სახელმწიფო ინსტიტუციებში.</p>	<p>- მტკიცე პოლიტიკურ მხარდაჭერაზე მუშაობა, მათ შორის პოლიტიკური დიალოგის წარმოება და ეფექტური არგუმენტაციის გამოყენება ღია მმართველობისა და გამჭვირვალობის სარგებელზე.</p>

**მონიტორინგი და შეფასება**

მნიშვნელოვანია, მონიტორინგისა და შეფასების გეგმა იყოს სტრუქტურირებული, რათა შეფასდეს, რამდენად კარგად სრულდება აღნიშნული პოლიტიკის მიზნები და ამოცანები. გეგმა დაეყრდნობა კონკრეტულ ინდიკატორებს, მონაცემთა წყაროების მეთოდებს და პროგრესის მუდმივ შეფასებას.

მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებისთვის დოკუმენტი რეკომენდაციას უწევს „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის № 629 დადგენილებით გათვალისწინებულ წესებსა და მინიმალურ მოთხოვნებს.<sup>43</sup>

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გთავაზობთ მონიტორინგისა და შეფასების რამდენიმე ძირითად კომპონენტს, მათ შორის:


<sup>43</sup> პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილება, <https://matsne.gov.ge/document/view/4747283>.

<p><b>მონიტორინგისა და შეფასების სიხშირე</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შუალედური მონიტორინგი – 6 თვეში.</li> <li>• წლიური მონიტორინგი – 12 თვეში.</li> <li>• საბოლოო შეფასება – მე-4 წლის ბოლოს.</li> </ul>
<p><b>პასუხისმგებელი მხარეები</b></p>	<p>წინამდებარე დოკუმენტით შეთავაზებული პოლიტიკის რეკომენდაციების შესრულება, ასევე, რეკომენდებულია საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) ფარგლებში. შესაბამისად, პროცესებს კოორდინაციას, როგორც დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, ასევე მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გაუწევს: მთავრობის ადმინისტრაცია და სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტო.</p> <p>გარდა ამისა, ჩართულნი იქნებიან: სხვა საჯარო დაწესებულებები, დამოუკიდებელი ორგანიზაციები და ექსპერტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედია.</p>
<p><b>შეფასების კრიტერიუმები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ეფექტურობა: მიზნების მიღწევის ხარისხი</li> <li>• ეფექტიანობა: რესურსების გამოყენების ოპტიმალურობა</li> <li>• რელევანტურობა: პოლიტიკის შესაბამისობა არსებულ გამოწვევებთან</li> <li>• მდგრადობა: მიღწეული შედეგების გრძელვადიანი პერსპექტივა</li> <li>• გავლენა: რეალური ცვლილებები საზოგადოებაში</li> </ul>
<p><b>დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რეგულარული კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან</li> <li>• ყოველწლიური ფორუმი ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით ონლაინ პლატფორმა უკუკავშირისა და წინადადებებისთვის</li> </ul>

**პოლიტიკის დოკუმენტის ადვოკატირება**

პოლიტიკის დოკუმენტის ადვოკატირება მიზნად ისახავს საჯარო ინფორმაციისა და ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით დოკუმენტით წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელების შესაძლებლობის გაზრდას.

ადვოკატირების კამპანიის ფარგლებში, მოხდება სამიზნე აუდიტორიის იდენტიფიცირება და მათი რეკომენდაციებისადმი „თანხმობის დონისა“ და განხორციელების უფლებამოსილებაზე „გავლენის დონის“ შეფასება.



**ადვოკატირების სტრატეგიებად გამოყენებული იქნება:**

- **რეკომენდება:** მტკიცებულებებზე დაფუძნებული კონკრეტული რეკომენდაციების მიწოდება დაინტერესებული მხარეებისთვის.
- **მედია კამპანია:** სხვადასხვა მედია-საშუალებების, მათ შორის სოციალური მედიის დახმარებით, პრობლემური საკითხის წინ წამოწევა და აუდიტორიისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზება.
- **სამოქალაქო აქტივიზმი:** მოქალაქეებისა და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება და ასევე, ე.წ. grassroots activism.
- **ლობირება:** ხელისუფლებასთან დიალოგი და მოლაპარაკებები.

საკომუნიკაციო არხებად გამოყენებული იქნება: მედია, მათ შორის სოციალური მედიის სხვადასხვა პლატფორმები (Facebook, TikTok, Instagram, Youtube), პირდაპირი კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმატები (შეხვედრები, დისკუსიები, ფოკუს ჯგუფები, კონფერენციები), მაღალი რანგის ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრები.



1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; გუსევა ბულგარეთის წინააღმდეგ, § 37; შაპოვალოვი უკრაინის წინააღმდეგ, § 68. Medžlis Islamske Zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina, § 86, TÁRSASÁG A SZABADSÁGJOGOKÉRT v. HUNGARY.
2. არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების “გამჭვირვალობის” კვლევით დაკავებული ხელისუფლების გამჭვირვალობა, ივლისი 18, 2024 <https://idfi.ge/ge/transparency-of-the-government-preoccupied-with-the-transparency-of-civil-society-and-media-organizations>
3. ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმები, <https://mfa.gov.ge/european-union/879251-asotsirebis-shetankhmebisa-da-dghis-tsesrigis-gankhortsielebis-erovnuli-samogmedo-gegmebi>.
4. ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმები, <https://mfa.gov.ge/european-union/879251-asotsirebis-shetankhmebisa-da-dghis-tsesrigis-gankhortsielebis-erovnuli-samogmedo-gegmebi>.
5. „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ კანონის მიღების ვალდებულება კვლავ შეუსრულებელი რჩება, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 21 დეკემბერი, 2021, <https://transparency.ge/ge/blog/inpormaciis-tavisuplebis-shesaxeb-kanonis-migebis-valdebuleba-kvlav-sheusrulebeli-rcheba>
6. პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის № 629 დადგენილება <https://matsne.gov.ge/document/view/4747283>.
7. საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის №484 დადგენილება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4586360>.
8. საქართველოს კონსტიტუცია
9. საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის №77 დადგენილება, მუხლი 22 <https://matsne.gov.ge/document/view/4062183>.
10. საქართველოს მთავრობა გადაწყვეტილებებს გაუმჭირვალე რეჟიმში იღებს, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, მარტი 17, 2023 <https://transparency.ge/ge/blog/sakartvelos-mtavroba-gadacqvetelebebs-gaumchvirvale-rezhimshi-igebs>
11. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, 2014 წლის 3 სექტემბერი, მთავრობის განკარგულება № 1516, დანართი გვ. 44 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496190>.
12. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2023, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>
13. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ, საქართველოს მთავრობის დადგენილება № 219, 2013 წლის 26 აგვისტო, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2001875>.
14. საჯარო ინფორმაციის მკვეთრად გაუარესებული ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), ივნისი 8, 2023, [https://idfi.ge/ge/sharp\\_decline\\_in\\_access\\_to\\_public\\_information](https://idfi.ge/ge/sharp_decline_in_access_to_public_information).
15. საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების პრაქტიკა საჯარო დაწესებულებებში 2022, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), [https://idfi.ge/ge/proactive\\_disclosure\\_of\\_public\\_information\\_on\\_georgian\\_public\\_institutions\\_websites\\_2022](https://idfi.ge/ge/proactive_disclosure_of_public_information_on_georgian_public_institutions_websites_2022).

16. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უფლება სამართლიან სასამართლოზე, ივლისი 11, 2022, [https://idfi.ge/ge/access\\_to\\_public\\_information\\_and\\_the\\_right\\_to\\_a\\_fair\\_trial](https://idfi.ge/ge/access_to_public_information_and_the_right_to_a_fair_trial).
17. საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 2023-2024 წლებში, მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი (CMIS) <https://drive.google.com/file/d/1DgZkhTnBTrXQRirtyQyES67-uZpLqdc9/view>
18. საჯარო მმართველობის რეფორმის (PAR) სტრატეგია 2023-2026, <https://matsne.gov.ge/document/view/5723982>.
19. საჯარო მმართველობის რეფორმის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 10 ივნისის № 274 დადგენილება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4586360>.
20. სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ (რომელიც ადმინისტრირებას უწევს ღია მონაცემების პორტალს) მოწოდებული ინფორმაცია.
21. ღია მმართველობა საქართველოს (OGP) 2014-2015, 2016-2017 და 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმები, <https://www.ogp.gov.ge/action-plan/>.
22. ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 დეკემბრის № 539 დადგენილება, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3456448>.
23. ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს (OGP Georgia) 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა, <https://ogpgeorgia.gov.ge/upload/pages/24/%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%9B%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1%202014%20-%E1%83%A1%202015%20%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D%20%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90.pdf>.
24. Global Data Barometer (2022). First Edition Report – Global Data Barometer. ILDA. DOI: <https://doi.org/10.5281/zenodo.6488349>.
25. IDFI (2020), ღია მონაცემების მდგომარეობა საქართველოში.
26. IDFI. (2024). ღია სამთავრობო მონაცემების საჭიროებების კვლევა საქართველოში
27. Letter of Concern, by the Open Government Interagency Coordination Council of Georgia member civil society organizations, April 13, 2023, [https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2023/04/Georgia\\_Letter-of-Concern\\_20230413.pdf](https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2023/04/Georgia_Letter-of-Concern_20230413.pdf)
28. OECD (2016), Fourth Round of Monitoring of the Istanbul Anti-Corruption Action Plan, Anti-Corruption Reforms in GEORGIA, p.75; GRECO (2024), Fifth Evaluation Round Georgia, Preventing corruption and promoting integrity in central governments (top executive functions) and law enforcement agencies.
29. OECD (2023), The Principles of Public Administration, OECD, Paris, <https://www.sigmaweb.org/publications/Principles-of-Public-Administration-2023.pdf>, Principle 15.
30. OGP Response Policy Concern Report: Georgia, Approved by Criteria and Standards Subcommittee on 16 February 2024, [https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2024/04/Georgia\\_Response-Policy-Review-Report\\_CS-approved\\_20240216.pdf](https://www.opengovpartnership.org/wp-content/uploads/2024/04/Georgia_Response-Policy-Review-Report_CS-approved_20240216.pdf)
31. Open Data Charter. (2015). International Open Data Charter.
32. Open Data Inventory (ODIN), Country Report Georgia 2022/23, <https://odin.opendatawatch.com/ReportCreator/ExportCountryReport/GEO/2022>.
33. Open data maturity 2021, Georgia, [https://data.europa.eu/sites/default/files/country-factsheet\\_georgia\\_2021.pdf](https://data.europa.eu/sites/default/files/country-factsheet_georgia_2021.pdf).
34. Open Government Partnership. (2019). OGP Toolbox.

35. Open Knowledge Foundation. (2012). Open Data Handbook.

36. Transparency and freedom of information releases, <https://www.gov.uk/search/transparency-and-freedom-of-information-releases>.

37. USAID, NGP. (2024). ღია მონაცემების მართვის სისტემის შეფასება

38. United Nations Convention Against Corruption, [https://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/Convention/08-50026\\_E.pdf](https://www.unodc.org/documents/treaties/UNCAC/Publications/Convention/08-50026_E.pdf).

39. World Bank. (2021). Open Government Data Toolkit.